FS67 w/3432

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოეთის საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 21 (205)

ნოემბერი,

1968 წელი



მეტრომშენებლები.

ზესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ფოტოგამოფენიდან „თბილისი და თბილისელები“.

ამბები დედა-საქართველოდან



სურათზე: ბარაქიანი რთველია საქართველოს შავიზღვისპირეთის ციტრუსოვანთა პლანტაციებში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ ᲓᲐᲓᲒᲐ

ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲕᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲤᲔᲘᲥᲐᲠᲗᲐ ᲓᲐᲑᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲣᲐᲛᲑᲝ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ-ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲛᲐ ᲜᲐᲓᲘᲠ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔᲛ.

— ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲠᲒᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲐ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ. ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲡ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 180 ᲗᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲛ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚ ᲑᲐᲖᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲗ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲐ — ᲛᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ 1970-1980 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ — ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲮᲣᲗᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲒᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ, ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲝᲠ ᲡᲐᲛᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ. ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲐᲛᲣᲨᲐᲕᲐ Გ. ᲯᲘᲑᲣᲢᲘᲛ ᲓᲐ Ა. ᲐᲑᲠᲐᲛᲝᲕᲛᲐ. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘᲐ Ნ. ᲛᲘᲭᲐᲫᲔ ᲓᲐ Მ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘᲐ ᲨᲐ. ᲓᲒᲔᲑᲣᲐᲫᲔ.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲣᲓᲒᲜᲔᲡ ᲥᲕᲐᲑᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐᲡ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ 1.200 ᲙᲐᲪᲘ. ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲨᲘ ᲨᲔᲕᲐ ᲮᲣᲗᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, ᲝᲠᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲔᲑᲘ. ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 14-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ 700 ᲙᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲓᲐᲑᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲓᲔᲑᲐ ᲠᲕᲐ ᲰᲔᲥᲢᲐᲠ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ. ᲐᲥ ᲐᲘᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲘ, ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ, ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲡᲐᲛᲘ-ᲝᲗᲮᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘ

ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ 70 ᲝᲯᲐᲮᲖᲔ ᲛᲝᲓᲘᲡ 3 ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲭᲝᲜᲔ. ᲑᲔᲕᲠ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ 3-4-ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘᲐᲜᲘ ᲬᲔᲕᲠᲘᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲐᲠᲑᲝᲨᲘᲙᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ ᲫᲛᲔᲑᲘ: ᲐᲜᲖᲝᲠ, ᲖᲐᲒᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲠᲘᲛᲐᲜ ᲑᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲖᲝᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡ ᲔᲑᲘᲐᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘ. ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘᲡ ᲗᲔᲓᲝ ᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ 4 ᲨᲕᲘᲚᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗᲐᲐ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ — ᲡᲐᲛᲘ.

ᲡᲝᲤᲔᲚ ᲐᲠᲑᲝᲨᲘᲙᲘᲓᲐᲜ 120 ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ.

ᲔᲫᲚᲕᲜᲔᲑᲐ ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲧᲠᲝᲑᲚᲔᲑᲡ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. Ნ. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ Გ. ᲙᲣᲨᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ. ᲔᲥᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲔᲜ ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲧᲠᲝᲑᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ. ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲘᲞᲧᲠᲝᲑᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲔᲑᲘ, ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲔᲑᲘ. ᲑᲔᲕᲠ ᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲡ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲘᲐ ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲰᲔᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲚᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲑᲐᲖᲐ. ᲓᲘᲓᲝᲛᲨᲘ ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ. ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲓᲐᲐᲛᲣᲨᲐᲕᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲖᲠᲓᲐ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲡᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ᲙᲘᲚᲐᲫᲔᲛ. ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘᲐ 20 ᲰᲔᲥᲢᲐᲠ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ. ᲓᲘᲓᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲪᲔᲓᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲐᲗᲐᲨᲘ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲐᲪᲔᲓᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: ᲘᲖᲝᲢᲝᲞᲔᲑᲘᲡ, ᲑᲔᲚᲝᲜᲔᲡᲣᲠᲘ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲚᲔᲥᲪᲘᲘᲡ.

ᲛᲗᲐᲨᲘ, ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲔᲑᲗᲐᲜ

ᲐᲮᲛᲔᲪᲐ. ᲡᲣᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲭᲐᲠᲘ ᲫᲕᲐᲚ-ᲠᲑᲘᲚᲨᲘ ᲐᲢᲐᲜᲡ. ᲐᲡᲤᲐᲚᲢᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘ ᲨᲔᲬᲧᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲫᲦᲕᲜᲘᲡ ᲛᲫᲦᲚᲝᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲤᲮᲘᲖᲚᲝᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲓ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ ᲡᲐᲮᲔ — ᲬᲘᲜ ᲝᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲚᲠᲝ-ᲩᲝᲚᲠᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲐ. ᲑᲘᲜᲓᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲘ-ᲩᲐᲠᲗᲝᲗ: ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲘ ᲛᲝᲣᲗᲛᲔᲚᲔᲚᲐᲓ ᲔᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲛᲐᲦᲘᲡ ᲩᲐᲡᲕᲚᲐᲡ. ᲐᲮᲐ-ᲘᲥ ᲛᲝᲭᲐᲜᲡ ᲙᲝᲛᲝᲜᲔᲑᲘ. ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲣᲮᲐᲠᲘᲐᲗ ᲡᲢᲣᲛᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ.

ᲐᲛ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲔᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲨᲠᲛᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲪ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲑᲔᲕᲠ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲐᲪᲔᲗᲔᲑᲔᲜ ᲛᲫᲘᲛᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ — ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡᲐᲪ ᲣᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ. ᲐᲘᲫᲣᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲔᲜ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲐᲖᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲐᲖᲘᲜᲔᲑᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲨᲘᲜ ᲛᲘᲐᲥᲕᲗ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲓᲔᲚᲡᲨᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲠᲛᲝ ᲙᲔᲠᲫᲔᲑᲘ. ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲨᲘᲝ ᲭᲐᲔᲚᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲣᲧᲕᲔᲗᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲛᲐᲜ ᲨᲔᲣᲧᲕᲔᲗᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲙᲝᲡᲢᲣᲛᲨᲘ, ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲜᲘᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲔᲠᲐᲜᲒᲘ, ᲡᲐᲕᲭᲘᲛᲐᲠᲘ, ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ. ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲛᲐ ᲑᲐᲗᲝ ᲑᲝᲠᲘᲫᲘᲫᲛᲐ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲐ ᲨᲔᲣᲧᲕᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ — ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲘᲡ ᲗᲮᲝᲖᲣᲚᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲔᲪᲔ ᲛᲐᲜᲭᲐᲜᲔᲑᲡ, ᲛᲢᲔᲠᲔᲑᲡᲐᲡᲠᲣᲢᲔᲑᲡ, ᲮᲐᲚᲘᲩᲔᲑᲡ, ᲢᲠᲐᲜᲖᲘᲡᲢᲝᲠᲣᲚ ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲘᲛᲦᲔᲑᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲤᲝᲜᲔᲑᲡ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲨᲘᲜ ᲛᲘᲐᲥᲕᲗ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲓᲔᲚᲡᲨᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲠᲛᲝ ᲙᲔᲠᲫᲔᲑᲘ. ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲔᲗᲥᲕᲐᲗ ᲣᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲙᲣᲚᲘᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲪᲣᲓᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲕᲐᲭᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲐ ᲛᲐᲚᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲓᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲔᲡᲚᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ. ᲛᲐᲠᲗᲝ ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲛᲐᲚᲐᲖᲔᲑᲘ ᲝᲛᲐᲚᲔᲑᲨᲘ, ᲥᲕᲔᲛᲝ ᲐᲚᲐᲜᲨᲘ, ᲮᲔᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲐᲨᲘ, ᲮᲝᲧᲝᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲔᲑᲘ ᲛᲐᲢᲐᲜᲨᲘ, ᲥᲘᲡᲢᲐᲣᲠᲨᲘ, ᲡᲐᲑᲐᲣᲨᲘ. ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲐᲪᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲛᲐᲚᲐᲜᲘᲡ ᲝᲠᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲛᲐᲦᲘ.

ᲐᲮᲛᲔᲪᲔᲚᲘ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲡ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲐᲓ, ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ.

„საბჭოთა სასწაულის“ საიდუმლოება

ნაკაბობი ადამიანისა, რომელმაც განიცადა ემიგრაციის სიდუხჭირე და დაუბრუნდა სამშობლოს

ადამიანს ყოველთვის აქვს ისეთი წუთები, როდესაც ჩაუფიქრდება ცხოვრების ძველისძველ კითხვებს: „რისთვის ვცხოვრობ? ისე ვცხოვრობ, როგორც საჭიროა? მომიგონებს თუ არა ხალხი?“ და თვითეულს სურს იცხოვროს ისე, რომ განიცადოს ბედნიერება, სიყვარული, პატივისცემით ეპყრობოდნენ, დატოვოს თავის შემდეგ კეთილი ნაკვალევი.

მე შემიძლია ვუწოდო ჩემს თავს საუკუნის თანატოლი — ისე ბევრი გადამხდომია და ბევრიც მინახავს. მე განმიცდია შიმშილი და სიცივე, ტანჯვა და მომქანცველი შრომა. და ყველაზე საშინელი რამ — დამადლებული ლუკმაპური უცხოეთში ყოფნისა.

შეუძლებელია გადმოცემა მწუხარებისა, რომელიც იყო გამოწვეული სამშობლოსაგან განშორებით, გრძნობა იმ დიდი დანაკარგისა, რომლითაც ჩვენ ყველანი ვცხოვრობდით გადახვეწილები, ახალი ცხოვრებით დაშინებულნი უცხო მხარეში.

ჩვენ გვეუბნებოდნენ: „თუ მარჯვედ ამოირჩევთ სამუშაოს და კეთილსინდისიერად იმუშავებთ, ბედნიერება თვითონ მოგძებნით თქვენ“. ბოროტ დაცინვად ჟღერდნენ ეს სიტყვები ემიგრაციის ხანგრძლივი წლების განმავლობაში.

ყველგან, სადაც ვიმყოფებოდი, შემეძლო სრულად შემეფასებინა ამ სიტყვების მწარე ირონია: — სტამბოლში, სადაც შორეულ 1929 წელს მე სხვა მოჯამაგირეებთან ერთად დამიქირავეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ირვანის ფერმაში, რომელიც იმყოფება საფრანგეთის დეპარტამენტ სომაში, ცემენტის ალმოდებულ ღუმელებთან ანიი-სურ-სერში და ბატონიოლის საბარგო სადგურში.

და როცა მესმის ხმები საზღვარგარეთული პროპაგანდისა, თავშეუკავებლად მაქებარნი დასავლეთის ცხოვრების ნირის „მშვენიერებისა“, არ შემიძლია შევიკავო მწარე ღიმილი: ეს „მშვენიერება“ ჩემთვის კარგად ცნობილია.

ფრანგ, ალჟირელ, პოლონელ და სხვა უმუშევრებთან ერთად მე, ქართველი, ხშირად ვოცნებობდი იქ გასამრჯელოზე და თავშესაფარზე.

„საყოველთაო კეთილდღეობის“ ქვეყნებში უმუშევრობა ჩვეულებრივი ამბავია, ხოლო ჩვენ, უცხოელებს, „მეორე ხარისხის“ ადამიანებს, პირველ რიგში გვითხოვდნენ სამუშაოდან.

დღეს ეს მაგონდება როგორც კოშმარული სიზმარი. არც ჩემს ამხანაგებს სამსახურში, არც ხალხს, რომელთანაც ერთად ვცხოვრობ, არც ჩემს გოგონა ნელის და მის კოლეგებს — პედაგოგებს, არც ჩემს შვილიშვილს — მოსწავლე მალხაზს, რომელიც დგას დიდი ცხოვრების მიჯნაზე, არც ათასობით მოქალაქეს არ ძალუძს წარმოიდგინოს, რა უფრო საშინელია უცხოეთში: ქანცგამწყვეტი სამუშაო, ვიდრე სისხლიანი კოჟიჟები არ გაგიჩნდება ხელებზე, სევდა ბედნიერებაზე, რომელიც დღედაღამ სულს გიღევს, თუ შეგრძნება დასასრულისა, როცა ცხოვრება გავლილია და ძალები დალეულ.

არასოდეს არ დამავიწყდება, ამ ოცდაათიოდე წლის წინათ, ნოემბრის ერთ დღეს, როგორ ვისხედით რადიომიმღებთან და მთელი გულისყურით ვიჭერდით სამშობლოს ხმას. ჩვენ მაშინ გვაშორებდა არა მარტო ათასეული კილომეტრი ზღვები და მთები — ჩვენ გვაშორებდა შიში. შიში ახალი ცხოვრების წინაშე, რაც ჩვენ, ემიგრანტებს, სახიფათოდ გვეჩვენებოდა საქართველოსათვის. ასეთ წუთებში საქართველო გვაგონდებოდა თვით უმცირეს ბალახის ღეროდეც, ყველა წვრილმანებით, და გული გველეოდა.

ხანგრძლივი წლების განმავლობაში ემიგრანტებს ჩაგვაგონებდნენ, რომ სამშობლო დამონებულია, ყველაფერი ეროვნული გათელილია და დამცირებული, რომ ქართველ ხალხს დაკარგული აქვს დამოუკიდებლობა და უბადრუკად და უუფლებოდ არსებობს...

და აი დღეს თვალნათლივ ვხედავთ იმ განსაცვიფრებელ ცვლილებებს, რომლებიც მოუტანა ჩვენს ქვეყანას ოქტომბერმა.

ბურჟუაზიული პროპაგანდა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დაამციროს, არ მოიხსენიოს ჩვენი მიღწევები, მაგრამ მაინც არ ძალუძს მიჩქმალოს თავისი გაოცება საბჭოთა ხალხის დიადი მიღწევების გამო. მაინც რა არის „საბჭოთა სასწაულის“ საიდუმლოება? ამაოდ იმტვრევენ თავს ამ კითხვაზე ბევრნი. საიდუმლო კი არ არსებობს. ფოლადის და სიტყვის ოსტატებმა, ხუროთმოძღვრებმა და აგრონომებმა, მებაღეებმა და მეცნიერებმა გარდაქმნეს ჩემი საქართველო. სამშობლოს მოსიყვარულე ხალხის შრომა, დიდი ოქტომბრის იდეების ნათელი შუქია წყარო ჩვენი ხალხის მიღწევებისა და გამარჯვებებისა.

საბჭოთა საქართველო იბრძმედებოდა არა ერთი და ორი დღისა და წლის განმავლობაში. მძიმე ფასად დაუჯდა ეს გამარჯვებები ოქტომბრის გზით მიმავალ ხალხს, და როგორი სასიხარულოა შეგრძნება იმისა, რომ დღეს მეც მიმიძღვის წვლილი ამ დიადი ეპოქის ძერნებლობაში, მე ისევ გპოვე სამშობლო, ჩემი ხალხი, რომლის თავდადებულმა შრომამ მოუტანა ბედნიერება ქართულ მიწას.

მე მივმართავ დღეს ჩემს საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულეებს: თქვენ გელით სამშობლო! მერწმუნეთ ამ სიტყვების გულწრფელობაში. ადამიანისათვის არ მიუცია უკვდავება. მას მიაკუთვნეს სიცოცხლე, რომელსაც აქვს დასაწყისი და დაბოლოება. ამქვეყნიური ცხოვრება იზომება არა დღეებით, რომლებიც შეიძლება იყვნენ გრძელნი და ცარიელნი, არამედ ადამიანის გულში ანთებული გრძნობებით და იმ საქმით, რომელსაც ახმარ ხალხის კეთილდღეობას.

მე ეჭვიც არ მეპარება, რომ საზეიმო დღეების წინ ბევრნი იმათგან, რომლებმაც ჯერ ვერ ჰპოვეს თავის თავში ძალა და გამბედაობა ეღიარებინათ თავიანთი შეცდომა და დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, სულგანაბულნი სხედან რადიომიმღებებთან, რომ გაიგონ სამშობლოს ხმა, რათა იგრძნონ ძლევამოსილი სვლა საბჭოების ქვეყნისა.

თუ კი რამ არის სასიხარულო და ნათელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, რაც მათთვის მოაქვს მოვლენებით მდიდარ დროს, საზოგადოების ყველა წევრი აღნიშნავს საოქტომბრო მიღწევებით. ოქტომბრის შუქი აბრწყინებს ჩვენი რესპუბლიკის შრომითს მიღწევებს. საქართველოს მიწას დაუდგა აყვავების ეპოქა, მოვიდა წლები შემოქმედებისა და ბედნიერებისა.

ჩვენი ხალხისათვის ჩვეულებრივი გახდა დიადი საქმეების შესრულება. ბევრი რამ მიღწეული უკვე არ გვაოცებს, თუმცა ღირსია აღტაცებისა.

დღეს ოქტომბერი სიმბოლურად გამოხატავს საბჭოთა ხალხის ყოფას, მის სიმამაცეს, მის სიბრძნეს.

სიცოცხლე გრძელდება. მაგრამ სიცოცხლე ხომ მეხსიერებაა. და ხალხის მეხსიერება — ისტორიაა, — ისტორია ჩემი პატარა სოფლის ახალდაბისა, სადაც დავიბადე ამ საუკუნის დასაწყისში, ისტორია საქართველოსი. ცხოვრება გრძელდება, და რომ ჩადგე შენი ხალხის ცხოვრების ფერხულში, ეს ხომ ბედნიერებაა. მე მინდა ეს ყველამ გაიგოს, ვისთანაც დაკავშირებული იყო ჩემი ცხოვრების წლები საზღვარგარეთ, ვინც ჯერ კიდევ მოწყვეტილია სამშობლო მხარეს. მხოლოდ ეს არის ამ სტრიქონების დაწერის მიზანი.

ლ. პატარიძე,

თბილისის ხე-ტყის გადამმუშავებელი კომბინატის სააშქროს გამგე.

იოსებ ნონეშვილი

საუნივერსიტეტო

თავშესაყართან დგახარ ყველა გზის,
გვერდი ვერავინ ვერ აგიაროს,
ძველი იყალთოს, ძველი გელათის
დიდებანს ნანატრო შვილო გვიანო.

მომენატრება შენი ალერსი,
შენთან ჩურჩული, ფიქრის განდობა.
მოგინახულებ და შენს თაღებში
შემხვდება ჩემი ახალგაზრდობა...

დიახ, ეს მე ვარ... შენს მაღალ ბჭესთან
როგორც ტაძართან ქუდმოხდით მდგარი.
სტუდენტთა სიას პირველად ვხედავ
შემმატებია დღეს ჩემი გვარი.

შემდეგ ხელდასხმა ბრძენთა მხცოვანთა,
პირველი სევდაც, შეტევაც, შებმა...
შემდეგ სისხლიან დელგმის მოვარდნა,
ბრძოლის დიდ გზაზეც დალოცვა შენგან.
შენ გამისინჯე ლექსის ჭაშნიკი
და დამანათლე სახელი მგოსნის.
შენგან ახლოს ვართ თუ ცხრა მთას იქით
შევხვარით შენს შუქს,
შუბლს ნათელმოსილს.

ეს შუქი — შენი თეთრი ნათელი,
ჭაღარა არის მშობელი ხალხის,
ამ შუქში წიგნებს სწერდა ქართველი,
ჰკერავდა დროშებს, ჰკერავდა სახნისს.
დიდი სიცოცხლე დაჰხარის ვიცი
შენს ლამაზ ქალ-ვაჟს, შენს ნაკურთხ მიწას.
თუ მშობელს შვილის სჭირდება ფიცი
მაშინ ეს ლექსი მიიღე ფიცად.

გიორგი და ელენე

პაპაშვილები

ნოეს წყალობით

ნაწყვეტები წიგნიდან

რამდენიმე ნაწყვეტს გიორგი და **ელენე პაპაშვილების** წიგნიდან „ნოეს წყალობით“ გაზეთ „სამშობლოს ხმის“ მკითხველები უკვე გაეცვნენ გაზეთის მიმდინარე წლის მესამე, მეოთხე და მეხუთე ნომრების ფურცლებზე. ამ ნაწყვეტებს ჩვენი გაზეთის მკითხველთა საერთო მოწონება და დაინტერესება ხვდა. რედაქციამ მიიღო წერილები, რომლებშიც ჩვენი მკითხველები სურვილს გამოთქვამენ, რომ კარგი იქნება თუ კვლავაც დავუთმოთ ადგილს გაზეთის ფურცლებზე პაპაშვილების ამ ნაწარმოებს. ვასრულებთ მკითხველთა თხოვნას და ვგეხდავთ რამდენიმე ნაწყვეტს წიგნიდან „ნოეს წყალობით“. თარგმანი ინგლისურიდან ეკუთვნის **ანდუყაფარ ჭეიშვილს.**

1.

ომი რომ დამთავრდა, ნიუ-იორკში ჩამოვედი. მოცემენტებული ქუჩები, ცადაწვდილი სახლები და რკინის ღობეებში მომწყვდეული პაწაწა კორდები რომ დავინახე, ვთქვი: ნეტა რას სჩადის ეს ხალხი, აქ როგორა სძლებს, ამისთანა ადგილას ხომ შეუძლებელია ძაღლის შენახვა-მეთქი.

მართლაც, მეტი სიცხადისათვის, ყველგან ეწერა „ძაღლები აკრძალულია!“

ძაღლების აკრძალვას ვერაფრით ვერ შევურიგდებოდი. ამიტომ მთელი ამერიკა შემოვიარე ისეთი ადგილის ძებნაში, სადაც ძაღლებიც მოწონებაში იქნებოდა და მეც არა მკრავდნენ ხელს.

2.

ათასგვარი ფათერაკის შემდეგ მივაგენი ამისთანა კუთხეს. აქ სარჩოც ვიშოვნე, სამუშაოც და მეგობრებიც. ბოლოს ცოლიც შევირთე.

დავქორწინდით თუ არა, ელენეს ვუთხარი, რადგან კარმიდამო გვაქვს, ძაღლიც გვინდა, უამისოდ არ იქნება-მეთქი.

ელენე დამეთანხმა, რადგან თვალწინ სულ თავისი ახალგარდაცვლილი მეგობარი „დუკა“ ედგა. ახლა ისღა უნდა გადაგვეწყვიტა, თუ რომელი ჯიშის ძაღლი აგვერჩია.

— აი ხანდახან ქუჩაში საბლით რომ ატარებენ, ისეთი არ მინდა, ვუთხარი ელენეს, — არ მიყვარს ჟაკეტიანი, საწვიმრიანი და სვიტრიანი ძაღლები. ხანდახან ფარღულიან და, წარმოიდგინე, კალოშებიან ძაღლებსაც შევხვედრივარ. საწყლებს თვითონ რცხვენიათ, პატრონებს კი არაფერი ეტყობათ.

— მაშ როგორი გინდა? — მკითხა ელენემ.

— უბრალო, გონიერი, მშრომელი. თავისი ხელობა რომ ეცოდინება და თავის ჯიშსა და ჯილაგს არ უღალატებს. ისეთი კი არა, თავს რომ არა ზოგავს, იქნებ ადამიანს დავემგვანო საქციელშიო.

— მაშინ, ყველაფერს აჯობებს ლეკვი ვიყიდოთ და ჩვენს ჭკუაზე გავზარდოთ, — მირჩია ელენემ.

— რას ამბობ, — გამეცინა მე, — ძაღლის ყიდვა სად გაგონილა? ჩვენთან, საქართველოში, ძაღლს არავინ ყიდულობს. ყველას თავისი ჰყავს.

— ბუცა სად იშოვნეთ?

— დედაჩემს მოჰყვა მზითვში. ბუცას პაპა და ჩემი პაპა მეგობრები იყვნენ. ასევე მეგობრობდნენ მათი წინაპრები ქვეყნის დასაბამიდან. ჩემი აზრით, მაშინ ალბათ გამოქვაბული ჰქონდათ ბინად.

— არა მგონია, რომ ამერიკაში ასეთი ძველი გვარიშვილი ძაღლი არსებობდეს, — დაეჭვდა ელენე.

— მე მგონი რამდენიმეს მაინც ჩამოიყვანდნენ „მეიფლაუერით“, რადგან ის მამაცი ადამიანები, რომლებიც პირველად ჩამოვიდნენ ამერიკაში, ძაღლებს არ დაივიწყებდნენ. კი არა, პირველად, ნამდვილად, ძაღლებს ჩასვამდნენ გემში. დუკა როგორ იშოვნეთ?

— ლოცვით. არაპირდაპირი გზით. ერთხელ ძია ჰარი, რომელიც „კარდინალის კლუბში“ თამაშობდა ბურთს, ძალიან ავადმყოფი მოიყვანეს შინ. მგონი ფილტვების ანთება ჰქონდა. მაშინვე ფარდები ჩამოუშვეს, პიანინო დახურეს და ქვაფენილი თივით დაფარეს, რომ ავადმყოფი ფეხის ხმას არ შეეწუხებინა. ძია ჰარის სეტერი „დაჩისი“ ზღრუბლთან იწვა და საშინლად გლოვობდა. დედაჩემი ყოველ დილა-საღამოს მეუბნებოდა, ძია ჰარისათვის ილოცეო. მეც ვლოცულობდი და ვლოცულობდი.

— შემდეგ რა მოხდა?

— რა და ძია ჰარი მომჯობინდა, ჯერ ლოგინში წამოჯდა, შემდეგ კი მაგიდასთან მისვლაც შეძლო. დედაჩემმა უთხრა: ჩემი შვილი ყოველდღე ლოცულობდა — უფალს თქვენს მორჩენას ევერდებოდაო. ამ სიტყვებმა ძალიან გაამაცა, რადგან სულ სხვა რამეს შევთხოვდი ღმერთს. არა, ძია ჰარი, — წამოვიძახე მე, — არ დაუჯეროთ, მე ვლოცულობდი — ნეტა ძია ჰარი მოკვდეს,

3.

რომ მისი დაჩისი დამრჩეს-მეთქი. ძია ჰარიმ იმდენი იცინა, რომ კინაღამ კვლავ ლოგინად ჩავარდა, შობას კი დუკა გამომიგზავნა კალათით, რომელზეც ეწერა: „ჩემი სახელია დუკა. კარგად მომექეცი და სუფთა წყალი მასვი ხოლმე“.

— ნუთუ დუკას ვინმესთან მეკვიდრეები არ დარჩენია? თუ დარჩა, მოვძებნოთ.

— არა, არაფერი გამიგონია. ოჯახში ამაზე არასოდეს არა გვქონია საუბარი.

გაზეთი გადმოვიღე და ელენეს მივაწოდე. მან დამატება წამიკითხა, სადაც შინაურ ცხოველებზე იყო ლაპარაკი: — კორგი, სამოედი, ავღანური მადევარი, ბედლინგტონი, სკიპერკი...

— უფრო უბრალო არა წერია?

— შოტლანდიური ნაგაზი არ გინდა?

— ძალიან ხუმარები არიან. თავიანთსავე ხუმრობაზე იცინიან ხოლმე.

— ბულდოგი?

— ხვრინვით აგვიკლებენ.

— მამაჩემის ნაცნობს ერთი ინგლისური ბულდოგი ჰყავდა, რომელიც ჩხუბს ეწეოდა. ხშირად მინახავს გროსის სიგარების მაღაზიიდან გამოსული. პატრონი საბელს ექაჩებოდა, ის კი არხეინად აბოლებდა ჩიბუხს. ნიუფაუნდლენდზე რას იტყვი?

— ძალიან დიდია.

— ფოქსტერიერი?

— ძალიან პატარაა.

— ერთი ფოქსტერიერი გავიცანი აგარაკზე, ფულზე თამაშობდა. ავტომატთან იდგა და მანამ იყეფებოდა, სანამ ვინმე ხუთცენტიანს არ ჩააგდებდა ჭრილში და ძაღლს სკამს არ დაუდგამდა. მაშინ იგი სკამზე შეხტებოდა და ბერკეტს კბილებით ჩამოსწევდა ხოლმე.

— როდისმე იგებდა?

— მე მგონი ფულის დარდი სულ არა ჰქონდა. ბორბლების ტრიალი უხაროდა. ერთხელ კი მთელი ბანკი მოხსნა.

— იმედია, ჭკუას მოუხმო, თამაში შეწყვიტა და მოგებული ფული ყასბის დუქანში დააბანდა, არა?

— არა, კვლავ ყეფა დაიწყო, ვიდრე მთელი ფული არ წააგო.

— ეგეთ ჭკვიან ძაღლებზე ნუ მელაპარაკები. აღარ შემიძლია მაგის მოსმენა. კობიანთკარში ძაღლი რომ ხელის ჩამორთმევასა და ძროხების შინ მორეკვას ისწავლიდა, გენიოსი გვეგონა.

— ჩაუ არ გინდა: მაყვლის ნამცხვარს მიუგავს ენა.

— არა, ლომსა ჰგავს.

— სეტერი?

— სანადიროდ მომინდომებს წაყვანას, მე კი აღარ ვნადირობ.

— ჩესაპიკური ძაღლი. ყველაფერს მოგირბენინებს.

— ჰერშის ლუდხანის დახლსა ჰგავს. იმასავით გამურულია.

— გერმანული ნაგაზი? გერმანული ნაგაზი?!

4.

— გერმანულ ნაგაზს ვერაფერს დავუწუნებ. სად არის?

— აი, ხუთი თუ ექვსი მისამართია.

დავიწყეთ ჩამოვლა. უახლოეს მისამართზე არც ერთი ლეკვი აღარ დარჩენილიყო, მეორე ადგილას უკვე ოთხი თვისანი იყვნენ. ასე დიდები კი არ მინდოდა.

— ჩვენმა ძაღლმა პირველი ბრძანება, პირველი წამახალისებელი სიტყვა ჩვენგან უნდა გაიგონოს. ექვსი, შვიდი კვირისა მინდა. ამაზე ხნიერი აღარ ვარგა. ამ დროისათვის დედამისსაც მოეწურება მისი ლოლიაობა და ლეკვმა უნდა იფიქროს თავის მერმისზე.

მესამედ ნამდვილ სასახლეს მივადექით. რკინის ჭიშკრით, ხრეშმოყრილი ბილიკებით, დაბალი კოინდრითა და კოპწია ჩანჩქერით, რომელიც ჩუხჩუხით ჩადიოდა პაწაწა გუბეში.

საძაღლე ვერცხლისფრად შეეღებათ. შიგნიდან კი კაფელით იყო მოპირკეთებული და წამლების სუნით ყარდა. კედელზე მინის ვიტრინა ეკიდა, მის თაროებზე ვერცხლის ცარიელი ფინჯნები იყო ჩამწკრივებული. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი გამოჭედვის დღიდან არავის უხმარია.

ჩვენ ვიღაც თეთრხალათიანმა ჯენტლემენმა მიგვიღო და გვერდიდან აღარ მოგვშორებია. აი იქით, მარჯვნივ, გვითხრა მან და პირველ სართულზე მიგვითითა, თქვენ ხედავთ ხვადს — მსოფლიო ჩემპიონს ვალდემარ ფონფალკენბურგ ფონ — მან კიდევ რაღაცა გაუგებარი დააყოლა და საგვარეულო ნუსხა მომაწოდა, რომელიც ექვსი თაობისაგან შედგებოდა.

მე თავი დავუკარი ვალდემარს.

იგი წამოდგა, რკინის მესერს მოადგა, ნამძინარევი თვალები ისე დაფახურა, თითქოს მეუბნებოდა: „აი სულ ეს არის ჩემი ცხოვრებაო“ და კვლავ ულაზათოდ გაწვა იატაკზე.

— ეს კი საჯიშე ძუკნაა, — განაგრძო ჯენტლემენმა, — დიდი პრიზის მფლობელის, გრეტელის, შთამომავალი. ეს ჰავერდობელი გრეტელია!

ჰავერდობელი გრეტელი მშვენიერი ქალიშვილი იყო, მაგრამ ცოტა უმარილო ჩანდა. შემდეგ ჯენტლემენმა ხუთი ლეკვი გამოიყვანა და უჟანგავი ფოლადის მაგიდაზე დასვა.

ლეკვები შევათვალიერე და ყველაზე მოზრდილს წავეტანე, მაგრამ იმ კაცმა ბოდიშის მოხდით შემაჩერა, ლეკვების შეხების უფლებას არავის ვაძლევთო.

არაფერს დავუშავებ, ლეკვის ხელში დაჭერას ვერავინ მასწავლის-მეთქი ვუთხარი, მაგრამ პასუხად ციტატა მომიყვანა, თქვენგან დამოუკიდებლად შეიძლება ცხოველი მიკრობებითა და პარაზიტებით დასნეულოთ. ჩვენ კი ამას სასტიკად ვებრძვითო.

რაღა უნდა გვექნა? დამწუხრებულები გამოვეთხოვეთ იმ ხუთ ლეკვს, რომელთაც არასოდეს გაუხარიათ ნაგვის ქექვითა და ჯღანების ღეჭვით და არც მიწაზე უგორავიათ სკუნსის სუნით დამთვრალებს.

— ლეკვი ხელში უნდა ავიყვანო, — ვუთხარი ელენეს, როდესაც მანქანაში ჩავსხედით, — ძვლები უნდა მოვუსინჯო, რომ გავიგო ღონიერი იქნება თუ არა.

5.

ძლიერი მკერდი უნდა ჰქონდეს და ზორბა თავი. ჩემს სუნსა და ხელს უნდა შეეჩვიოს. სხვანაირად არჩევა მე არ ვიცი.

ბოლო მისამართმა ფერმაში მიგვიყვანა. ფერმაში უზარმაზარი თავლა იდგა, ბაგები პირთამდე საგნე იყო მარცვლით, მინდორში კი ღონიერი ცხენები და ნაპატივები ძროხები ბალახობდნენ. ჭიშკართან შავტუხა გერმანული ნაგაზი შემოგვეგება, ორჯერ დაიყეფა და სახლის კარამდე მიგვიყვანა. ძაღლს არც მოყვრობა გამოუჩენია, არც მტრობა, ოღონდ ეს კი იყო, რომ ღირსეულად ეჭირა თავი და მეც მივბაძე.

კაკუნზე ვიღაც ქალი გამოვიდა. როდესაც ვუთხარი, ლეკვების სანახავად მოვედით-მეთქი, ჯვარედინი დაკითხვის ცეცხლში გაგვატარა: „სადა ცხოვრობთ? აქამდე თუ გყავდათ ლეკვები? ეზო რამოდენა გაქვთ? ლეკვი სად უნდა დააძინოთ?“

როცა ეს გამოცდა ჩავაბარეთ, მან სამზარეულოს კარი გააღო და იქიდან მეორე ქალბატონი გამობრძანდა, ოღონდ ამჯერად ოთხფეხი, მას ოქროსფერი ხალები, წვეტიანი ყურები და დაბლა დაშვებული კუდი ჰქონდა. ამ ქალბატონმა გულმოდგინედ დაგვყნოსა და ეტყობა მოვეწონეთ. ამის შემდეგ პირველი ქალბატონი გომურისაკენ გაგვიძღვა.

— აი აქ არიან, — გვითხრა მან და ყუთზე მიგვითითა. ყუთში ჩაგებულ სურნელოვან თივაში შვიდი ლეკვი კოტრიალობდა.

— გასულ სამშაბათს თვენახევრისა შესრულდნენ. დაბრძანდით, ეთამაშეთ, დააკვირდით, არ იჩქაროთ. მჟავე ვაშლი თუ გიყვართ, აგე იმ კალათაშია და ისიამოვნეთ.

ყველაზე დიდი პირაღმა იწვა და ეძინა. თათები ჰაერში აეშვირა, პირის ირგვლივ ვარდისფერი ენის არშია ჰქონდა შემოვლებული. ორი ლეკვი ყუთის კუთხეებში იქექებოდა — დედას ეძებდნენ, მაგრამ იგი ქალბატონს გაჰყოლოდა.

მძინარე ცუგრუმელა გავაღვიძე. მან პირი აიცმაცუნა, ეტყობოდა საჭმელს ეძებდა. და რომ ვერაფერი მოახელა, თვალები დაახამხამა და კვლავ დაიძინა.

რომელი აგვერჩია? სათითოდ აგვყავდა ხელში, კვლავ ყუთში ვსვამდით, ვირჩევდით, მერე ვიწუნებდით და სხვას ვირჩევდით, შემდეგ კიდევ სხვა ლეკვზე წაგვივიდოდა თვალი და კვლავ ხელახლა იწყებოდა ყველაფერი.

ბოლოს ორზე დაგვიდგა არჩევანი — მძინარეზე და მის რუხ ძმაზე. მძინარა ყველაზე მოსული და ჯანიანი იყო, ადვილად ერეოდა სხვებს, აქეთ-იქით ყრიდა და საუკეთესო ადგილს ისაკუთრებდა.

რუხი ყუთიდან ამოძვრა, ფეხსაცმლის ზონრები გაგვისინჯა, მცირეხნით ჩაფიქრდა და მერე გადაწყვიტა ზონრები საკუთარი კუდისათვის შეეღარებინა, მაგრამ ვერ მისწვდა და მის დევნაში კარგახანს იტრიალა ადგილზე. შემდეგ ჰაერში მფრინავ ბუმბულს დააკვირდა, ბოლოს კი მოეჩვენა, რწყილმა მიკბინაო, დრუნჩით გვერდის მოფხანა მოინდომა, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და გადაკოტრიალდა.

ასაყენებლად რომ დავიხარე, შემთხვევით სარწყავს გავკარი ხელი. სარწყავი ჟღრიალით გაგორდა იატაკზე. ლეკვები ზეზე წამოხტნენ. ზოგი შეშინდა და

6.

წკმუტუნი დაიწყო. მძინარა თივაში ჩაძვრა... რუხი კი მობრუნდა და ხმაურს ყეფით შეუტია.

— აი ლეკვი, — ერთდროულად აღმოგვხვდა ელენესა და მე. მაშინვე ვიყიდეთ და შინ მოვიყვანეთ.

სახელად ქედანა დავარქვით. ეს სახელი ბავშვობაში მოსმენილი ზღაპრიდან მახსოვდა. ქედანას, ამ ზღაპარში ბასარა ჰყავდა მეგობრად. ეს სახელი კი ჩემს ბავშვობის მეგობარ ძაღლს, ბასარას მაგონებდა.

შეუძლებელია სადმე ყოფილიყო ქედანაზე ანცი და ოინბაზი ძაღლი. მან მეორე დილასვე მიაგნო ყასბის მიერ აივანზე დატოვებულ შეკვრას და თავისი პატარა ბრჭყალებით გამოფოფნა. მე რომ მივედი, მარტო კუდი-ღა უჩანდა, თავი და ტანი კი უკვე კეთილმოწყობილ ბინაში ჰქონდა მოთავსებული, რომელიც საკუთარი თათებით გამოეთხარა ღორის ხორცის ნაჭერში.

ამის შემდეგ კარის წინ დაფენილი ქეჩა დაგლიჯა, ტულიპებს თავები გადაატეხა, სარეცხის თოკს ჯოხი გამოაცალა, ფეხსაცმელები მოიპარა და სამკვდრო-სახიცოცხლო ბრძოლა გაუმართა ქუჩის გადაღმა მცხოვრებ შოტლანდიურ ტერიერს. შემდეგ კუპრში ამოიზუზუნა, შინ დაბრუნდა და ახალთახალ ხალიჩაზე დაიწყო კოტრიალი. სწორედ იმ დროს, როცა მოთმინების ფიალა აგვევსო და დასჯა დავუპირეთ, ქედანა ავად გახდა, საწყლად მიიყუჟა თავის კუთხეში და სევდიანი, ლეკვური თვალებით შემოგვევედრა, მიშველეთო.

ქედანა საუკეთესო ბეითალთან წავიყვანეთ, დამეები ვუთიეთ, ათასნაირი წამალი მივეცით, ჭვილი ხორცი არ მოვაკელით და ვისკიანი რძე ვასვით.

ერთ დღეს, მზეზე რომ ვსეირნობდით, თავისი მოსისხლე მტერი, შოტლანდიელი ტერიერი, დაინახა, ხელიდან გაგვისხლტდა და სახლის კარამდე სდია.

* * *


იმ დღიდან ქედანა განიკურნა და კვლავ თავიდან დაიწყო ყველაფერი.

ერთმა მეზობელმა მირჩია, ქედანა ძაღლების სკოლაში წაიყვანე გასაწვრთნელადო. ასეთი რამე თუ არსებობდა, არც კი ვიცოდი. ავდექი და ვეხეტმრე ამ სკოლას.

დირექტორმა ქალმა, რომელსაც მამაკაცის ნიკაპი და ისეთი უკმეხი გამომეტყველება ჰქონდა, რომ შეკითხვის მიცემას ვერ გაუბედავდით, სასწავლო ხელსაწყოები დამათვალიერებინა და ამიხსნა, თუ რა და რა წოდება შეიძლებოდა მიეღოთ ძაღლებს ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. ბოლოს მითხრა, გამომყევით და შესაძლებლობა გექნებათ, ჩვენი სასწავლო მეთოდი მოქმედებაში იხილოთო.

ერთ უზარმაზარ დარბაზში შემიყვანა, სადაც ოცი ძაღლი და ოცი კაცი იყო ჩამწკრივებული. ძაღლებისა და ადამიანების ხროვა ერთმანეთთან საბელებით იყო დაკავშირებული და სიარულს სწავლობდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



სამთავისი. კასპის რაიონი.

აშენდება ღვინისა და ვაზის სახლი

კვების მრეწველობის სამინისტრომ დაამტკიცა თბილისის ღვინისა და ვაზის სახლის მშენებლობის პროექტი, რომელიც შეიმუშავეს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქიტექტორებმა.

ღვინისა და ვაზის სახლის მიზანია გააცნოს დამთვალიერებელთ საქართველოს ღვინო და მეღვინეობა. ეს ორიგინალური ოთხსართულიანი შენობა შენდება მტკვრის სანაპიროს გასწვრივ № 4 ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე.

აქ იქნება ღვინის კოლექციის, საგამოფენო და სადეგუსტაციო დარბაზები, ბიბლიოთეკა, უმდიდრესი ღვინოთეკა, სავაჭრო დარბაზში დამთვალიერებელთ შეუძლიათ შეიძინონ ღვინო და ხილი, მისცენ შეკვეთა პროდუქტების გასაგზავნად ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქში.

ღვინისა და ვაზის სახლი გადაწყვეტილია თანამედროვე არქიტექტურის მარტივი და მონუმენტური ფორმებით. მარანის კედლები ლოდებისა იქნება. მთავარი შესასვლელი მოპირკეთდება თითბერის ნაჭედი ფურცლებით. ინტერიერებს დაამშვენებს ქანდაკება, ბარელიეფი, ფრესკები, ჩუქურთმები, მხატვრული მოხატულობა. პროექტის ავტორია არქიტექტორი ლ. ჯანელიძე.

ფართო აღიარება

სტრიქონები ქართველი მეცნიერის ფოსტიდან

◆

რამდენიმე ათეული წელია, ღვაწლმოსილი პროფესორი ისიდორე გვარჯალაძე ეწევა ნაყოფიერ შრომას პედაგოგიურსა და სამეცნიერო ასპარეზზე. პროფესორი უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში სათავეში უდგას უცხო ენების შესწავლის საქმეს, ახალგაზრდული შემართებით კითხულობს ლექციებს ფრანგული და ინგლისური ენების მეთოდიკის საკითხებზე. ამ კეთილშობილურ საქმეში მას აქვს დიდი გამოცდილება, ცოდნა და უნარი. ამიტომ არის, რომ პროფესორი სტუდენტებს ძალიან უყვართ. ბევრმა მისმა აღზრდილმა სტუდენტმა უკვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ინგლისურ და ფრანგულ ენებში.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ი. გვარჯალაძე თავის პედაგოგიურ საქმიანობას შესანიშნავად უთავსებს მეცნიერულ მუშაობას, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის იგი სისტემატურად ადგენს სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებს. ამ სახელმძღვანელოებზე აღიზარდნენ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდები, ისინი დაეუფლნენ უცხო ენებს და დღეს სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობენ.

პროფ. ი. გვარჯალაძის მიერ შედგენილმა სახელმძღვანელოებმა და ლექსიკონებმა აღიარება ჰპოვეს არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. პროფესორს არაერთი შეკვეთა აქვს მიღებული სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებზე საფრანგეთის, ინგლისის, შვეიცარის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა სახელმწიფოების სამეცნიერო დაწესებულებებიდან.

ჩვენ დავინტერესდით წერილებით, რომლებიც მიღებული აქვს პროფესორს საზღვარგარეთის სხვადასხვა დაწესებულებებიდან. დოსიე რომ გადაეფურცლეთ, ყურადღება მიიპყრო საფრანგეთიდან გამოგზავნილმა გულთბილმა წერილებმა, რომლებშიც ავტორები მაღალ შეფასებას აძლევენ ქართველი მეცნიერის ნაშრომებს.

— „სახელმძღვანელოები და ქართულ-ფრანგული ლექსიკონები, რომლებიც გამოგვიგზავნეთ, — წერს ერთ-ერთ წერილში სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი შან კალმეტისი, — საუკეთესო დადასტურებაა თქვენი ჭეშმარიტი ინტელექტუალური ცხოვრებისა. აღმაფრთოვანა თქვენმა ლექსიკოგრაფიულმა გეგმამ, რომელიც განასორციელეთ, რათა თქვენი თანამემამულეებისათვის მისაწვდომი გაგეხადათ ფრანგული და ქართული ენები“...

1963 წელს თბილისში სტუმრად იყო სტრასბურგის უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის გამგე — პროფესორი რობერტ ტრიომფი, რომელმაც დაათვალიერა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი. პროფესორი დაინტერესდა ფრანგული ენის სწავლებით და იმ სახელმძღვანელოებითა და ლექსიკონებით, რომლებითაც სარგებლობდნენ სტუდენტები. იგი გაეცნო ქართველი მეცნიერის ი. გვარჯალაძის სახელმძღვანელოებს და ლექსიკონებს. შემდეგ ფრანგი მეცნიერის თხოვნით პროფ. ი. გვარჯალაძემ მას გაუგზავნა თავისი ლექსიკონის ორტომეული.

„მივიღე თქვენი ლექსიკონი, — სწერს პროფ. ი. გვარჯალაძეს ფრანგი მეცნიერი, — სულითა და გულით გილოცავთ ამ დიდი ნაშრომის წარმატებით დამთავრებას. თქვენი ლექსიკონი სარგებლობას მოუტანს არა მარტო ქართველებს, არამედ მომავალ ფრანგ კავკასიოლოგებსაც. მე თბილისზე და კერძოდ თქვენზე დამრჩა შესანიშნავი მოგონებები. დიდ მადლობას გიძღვნით ამანათისათვის“.

ქართველი მეცნიერის ნაშრომებს ეხმიანება აგრეთვე პარიზის აღმოსავლური ენების ინსტიტუტი. „მადლობას გიძღვნით, — ნათქვამია ერთ-ერთ წერილში, — თქვენი წერილისა და ამანათისათვის... თქვენი სახელმძღვანელოები და ლექსიკონები უაღრესად საინტერესო და სასარგებლოა. ჩვენი სურვილია ეს კონტაქტი გაგრძელდეს შემდგომშიც“. წერილს ხელს აწერს ბიბლიოთეკის გამგე.

ამ რამდენიმე ხნის წინათ პროფესორმა ი. გვარჯალაძემ გამოსცა ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, რომლითაც დაინტერესებულა საფრანგეთის მოსკოვური საელჩოს კულტურულ-მეცნიერული და ტექნიკური განყოფილების გამგე — ბატონი ალბერტ თბო. იგი წერს: „მივიღე თქვენი ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, რომელმაც ჩვენში დიდი ინტერესი გამოიწვია. საჩუქრად გიგზავნით ჩვენი ფრანგი მწერლის ანტუან დე სენტ ეგზიუპერის თხზულებათა ერთტომეულს, რომელიც ახლახან გამოსცა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიამ“.

ეს ლექსიკონი მიუღია აგრეთვე საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიას „ფრანგულ-ქართული ლექსიკონის“ ორტომეულთან ერთად. ერთ-ერთ წერილში იგი მაღალ შეფასებას აძლევს ამ ნაშრომს და მადლობას უძღვნის მის ავტორს.



სურათზე: პროფესორი ისიდორე გვარჯალაძე.

ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი, ქართული ენის დიდი სპეციალისტი, ფრანგული ენის კარგი მცოდნე პროფესორი ჰანს ფოქტი ერთ-ერთ წერილში ჩვენს თანამემამულეს სწერს: „დიდ მადლობას გიძღვნით „ქართულ-ფრანგულ“ და ფრანგულ-ქართული“ ლექსიკონების გამოგზავნისათვის. ლექსიკონები დიდ დახმარებას გაგვიწევს მუშაობაში, რადგან შედარებით სრულია. სამაგიეროს გამოგიგზავნიდით, რომ ვიცოდე რომელი წიგნი გნებავთ“.

მეორე წერილში კი ჰ. ფოქტი წერს: „დღეს მივიღე „ინგლისურ-ქართული“ და „ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“, რისთვისაც დიდად გმადლობთ. ეს ლექსიკონები ძალიან ესაჭიროებათ ჩემს მოწაფეებს, რომლებიც ქართულს სწავლობენ. ძალიან მჭირდებოდა ასეთი წიგნები, და ეს არის მივიღე კიდეც. მაგრამ ჩვენ გვინდა დიდი „ქართულ-ფრანგული ლექსიკონი“, რომელიც დიდ დახმარებას გაგვიწევდა. მისასალმებელი იქნება, თუ ასეთი ლექსიკონის გამოცემაზე იზრუნებთ“.

პროფ. ი. გვარჯალაძეს გაცვლითი ურთიერთობა აქვს დამყარებული ინგლისის ოქსფორდის უნივერსიტეტისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკებთან. პროფესორი მათი შეკვეთის საფუძველზე გზავნის თავის ნაშრომებს და იქიდან იღებს მისთვის საჭირო ლიტერატურას. როგორც წერილებიდან ჩანს, ამერიკასა და ინგლისში დიდი მოთხოვნილებაა ქართველი მეცნიერის ნაშრომებზე.

ავტორმა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან მიიღო შესანიშნავი ნაშრომები, რომლებიც ეხება საქართველოს. ესენია დ. ლანგის ნაშრომები. „საქართველო გიორგი ბრწყინვალის დროს“, „სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“ ახალი დასათაურებისათვის“, „საქართველო და საფავის დინასტიის დაცემა“, ი. გერშევიჩის „უძველესი გადმონაშთები ოსეთში“, რ. რობინსისა და ნ. ვატერსონის „შენიშვნები ქართულ ფონეტიკაზე“, ვ. მინორსკის „მარუშუბანის კავკასიელი ვასალები“ და სხვ.

კონგრესის ბიბლიოთეკიდან იტყობინებიან, რომ სჭირდებათ ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული ლექსიკონები, აგრეთვე ინგლისურად თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა. ავტორმა ამ მისამართით გაგზავნა სათანადო ლიტერატურა და კონგრესის ბიბლიოთეკამ მას გამოუგზავნა ძალიან საჭირო და ძვირფასი გამოცემები.

ამ დღეებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში მოვიდა მადლობის წერილი, რომელსაც ხელს აწერს ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი, გამოჩენილი ქართველოლოგი — რენე ლაფონი.

„მივიღე პროფ. ი. გვარჯალაძის სახელმძღვანელოები და ლექსიკონები, — წერს ფრანგი მეცნიერი, — ისინი დამეხმარება ქართული ენის კვლევისა და შესწავლის საქმეში. მაგრამ უფრო დიდ დახმარებას გამიწევდა დიდი ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, თუ ასეთს შეადგენთ. დიდად გმადლობთ ამანათის გამოგზავნისათვის“.

როგორც ზემომოყვანილი წერილებიდან ჩანს, პროფ. ი. გვარჯალაძის ნაშრომებმა საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში დიდი აღიარება ჰპოვა. უცხოელი მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათ ძლიერ ესაჭიროებათ უცხო ენების სახელმძღვანელოები და ლექსიკონები. ის „ქართულ-ფრანგული ლექსიკონი“, რომელიც ახლახან პროფ. ი. გვარჯალაძემ გამოსცა, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას, რადგან სრული არ არის. მისასალმებელი იქნება, თუ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ მხედველობაში მიიღებს ჩვენი მკითხველებისა და უცხოელი მეცნიერების სურვილებს და უახლოეს მომავალში გამოსცემს დიდ ქართულ-ფრანგულ ლექსიკონს.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ უცხოეთის ბევრ ქვეყანაში დიდი ინტერესით სწავლობენ ქართულ ლიტერატურასა და ენას. მაგრამ ჩვენი უცხოელი მეგობრები ჩვენი მშობლიური ენისა და ლიტერატურის შესწავლის პროცესში აწყდებიან სიძნელეებს — არა აქვთ სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, ქართული ტექსტები, მხატვრული ლიტერატურა. ამიტომ ხშირად მოგვმართავენ დახმარებისათვის. ჩვენ მოვალე ვართ დავეხმაროთ ჩვენს უცხოელ კოლეგებს, მივაწოდოთ საჭირო ლიტერატურა. ამ მხრივ დიდად საჭირო, კეთილშობილურ საქმეს აკეთებს ჩვენი სახელგანთქმული პროფესორი ისიდორე გვარჯალაძე, რომელიც მათ სისტემატურად უგზავნის საჭირო მასალებს.

მისასალმებელია მეცნიერის ესოდენ ნაყოფიერი შრომა და მისი შედეგის რეზონანსიც.

სერგო თურნავა,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მშობლიურ — ბერძნულ ენაზე

სოხუმი. სოხუმის ბერძნულმა სახალხო დრამატულმა თეატრმა უჩვენა თავისი ახალი სპექტაკლი — კტენიდისის კომედიის „ნებიერის“ პრემიერა. პიესაში ასახულია ტრაპიზონელი ვაჭრის ოჯახის ცხოვრება. კომედიის ენით მოთხრობილია ზოგიერთი ხალხური ზნე-ჩვეულება და ეროვნული წესები.

ბერძნულ სახალხო თეატრში ამ ბოლო დროს დიდძალი ახალგაზრდობის მოსვლა იმას მოწმობს, რომ თვითმოქმედი დასი შემოქმედებითაც გაიზარდა.

ახლა კოლექტივს ხელმძღვანელობენ ალექსანდრა ხაჯიკიდი და დიმიტრი გემგუშრიდი. მათ მრავალი სპექტაკლი დადგეს ბერძენ თვითმოქმედ მსახიობებთან ერთად. დაიდგა სულ სხვადასხვა ჟანრის პიესები: სოფოკლეს ტრაგედია „ელექტრა“ და გასული საუკუნის მწერლის პრესიადისის „გოლფო“, კარონილასის მუსიკალური კომედია „მოხუც ნიკოლოზის ვიოლინო“, ფოტიადისის გმირული დრამა „ლაზარ-აღა“, ფსაფასის „ჯიუტი“, პერიალისის დრამატული მოთხრობა „ბაბთიანი გოგონა“. სახალხო თეატრი დგამს არა მარტო ბერძენი დრამატურგების, არამედ აგრეთვე სხვა ენებიდან ნათარგმნ პიესებს.

პეტრე ბაგრატიონი — გამოჩენილი მეცნიერი

გამომცემლობა „განათლებამ“ ამას წინათ გამოუშვა დიდი მონოგრაფია ფიზიკის ისტორიაში, რომელიც მოიცავს მეცნიერების ამ დარგისა და მისი საუკეთესო წარმომადგენლების — დაწყებული არქიმედით და დამთავრებული კურჩატოვით — მიღწევებს. მისი ავტორია პროფესორი ვ. პარაძე. წიგნის ერთ-ერთი თავი ეძღვნება გამოჩენილი ფიზიკოსისა და ქიმიკოსის პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონის, ბოროდინოს ბრძოლის სახელგანთქმული გმირის პეტრე ბაგრატიონის ძმისწულისა და სეხნიის მოღვაწეობის გამოკვლევას.

მომავალი გამოჩენილი მეცნიერი დაიბადა 1818 წლის 22 სექტემბერს. 14 წლამდე იგი სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, ხოლო შემდეგ წავიდა პეტერბურგში, სადაც შევიდა სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელში. 1843 წელს, 25 წლის პ. ბაგრატიონმა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენში ფრანგულ ენაზე დაბეჭდა თავისი პირველი მეცნიერული შრომა, რომელსაც გამოქვეყნების რეკომენდაცია მისცა აკადემიკოსმა ლენცმა. შრომა მიეძღვნა კეთილშობილი ლითონების ბუდობების ეგრეთწოდებული ციანირების მეთოდით დამუშავების საკითხს. პ. ბაგრატიონის გამოკვლევამ მიიპყრო ევროპის მეცნიერთა ყურადღება და ერთი წლის შემდეგ კვლავ გამოქვეყნდა პარიზში, ლონდონსა და ჟენევაში ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

50 წლის შემდეგ ამერიკელმა მრეწველებმა მაკ არტურმა და ძმებმა ფორესტებმა ბაგრატიონის მეთოდი გამოიყენეს ჯერ აფრიკაში, შემდეგ სამხრეთ ამერიკაში. ამ დროიდან ბაგრატიონის აღმოჩენას დაუმსახურებლად მიაწერდნენ ამ მრეწველებს. მომდინარე საუკუნის ორმოციან წლებში ბაგრატიონის პრიორიტეტი საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში აღდგენილია.

1846 წელს მეცნიერმა შექმნა გალვანური ელემენტი, რომელსაც „ბაგრატიონის ელემენტი“ ეწოდა და გამოყენებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

1844 წლის მარტის დამდეგს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ გამოაცხადა საერთაშორისო კონკურსი კრონშტადტის ნავსადგურის ყინულისაგან განთავისუფლებისათვის. ეს ძალზე რთული ტექნიკური ამოცანა მხოლოდ ბაგრატიონმა გადაწყვიტა და მიიპყრო მრავალი ქვეყნის მეცნიერთა ყურადღება.

1846 წელს ურალში გეოლოგიური გათხრების დროს, რასაც პ. ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა, მეცნიერმა აღმოაჩინა ახალი მინერალი, რომელიც წარმოადგენდა მანამდე უცნობი სახეობის ორტიტს. პეტერბურგისა და 11 საზღვარგარეთის აკადემიის აკადემიკოსმა ნ. კოშკარევმა წინადადება წამოაყენა ახლად აღმოჩენილი მინერალისათვის „ბაგრატიონიდი“ ეწოდებინათ.

თვალსაჩინო დამსახურებისათვის პ. ი. ბაგრატიონს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება, იგი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენით.

პეტრე ბაგრატიონი გარდაიცვალა 1876 წლის 17 იანვარს პეტერბურგში და დაკრძალულია ვოსკრესენსკის ნოვო-დევიჩის მონასტერში.

სურიუმი თუ აია?

დიდი სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე აღმოჩენა მოახდინეს ქართველმა არქეოლოგებმა 1966 წელს ვანის ნაქალაქარის რაიონში, რომელიც განლაგებულია შიდა კოლხეთში, სამტრედიის რკინიგზის სადგურის სიახლოვეს. ბორცვის ძირში აღმოჩენილ იქნა ქალაქის კარიბჭის არქიტექტურული კომპლექსი. გარე გალავნის კედელთან, რომელიც აგებულია კარგად გათლილი ქვიშაქვის სწორკუთხა თეთრი ფერის ქვებისაგან, შემონახულია მარმარილოს კვარცხლბეკი ქანდაკებისათვის ზედ ამოჭრილი ბერძნული წარწერით: „გევედრები მეუფეო!“. შესასვლელთან აგებულია მცირე საკულტე შენობა საკურთხევლით, რომლის გარშემოც აღმოჩენილია შეწირულობანი: მოხატული სურები, ჯამები, ფეტვის მარცვლით გავსებული ამფორები. კარიბჭე დაცულია ნახევარწრიული კოშკით და მტკიცე გალავნით. მთელი ეს კომპლექსი აგებულია IV III საუკუნეებში ძვ. წელთაღრიცხვით და დანგრეულია I საუკუნეში ჩვ. წ. ა.-მდე.

1967 წელს ექსპედიციამ ქალაქის კარიბჭიდან სამხრეთის მიმართულებით გათხარა გრანდიოზული სამლოცველო, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, აგებული იყო კიდევ უფრო უძველესი ტაძრის ადგილას. დიდი ინტერესი გამოიწვია უზარმაზარმა რიტუალურმა ჭურჭელმა. შემონახულია მისი საკულტე სამკაულები: ფრთაგაშლილი არწივის ქანდაკება და დიონისეს თავის ექვსი გორელიეფური გამოსახულება. ჭურჭელს აგვირგვინებს ქალღმერთი ნიკეს 18-სანტიმეტრიანი ქანდაკება.

1968 წელს ვანის ექსპედიცია შეუდგა ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის კვლევას. აღმოჩენილია მძლავრი თავდაცვითი გალავნის კედელი, გამაგრებული კოშკებითა და კონტრფორსებით. ნაწილი ამ ნაგებობისა მიეკუთვნება VI-V საუკუნეებს ძვ. წელთაღრიცხვით. აღმოჩენილია ტაძრის ნარჩენები, რომელსაც მიაკუთვნებენ III-II საუკუნეებს ძვ. წელთაღრიცხვით.

რა ქალაქი იყო დღევანდელი ვანის ადგილას? ზოგიერთი მკვლევარის აზრით ეს არის ძველი ქალაქის სურიუმის ნანგრევები, რომელიც მოხსენებული აქვს პლინიუსს. სხვანი მას აიგივებენ აიასთან — კოლხეთის მითური დედაქალაქთან. არის იმის საფუძველი, რომ ეს იყო სატაძრო ქალაქი — ძველი კოლხეთის რელიგიური ცენტრი, ისეთი როგორიც იყო, მაგალითად, საერთობერძნული სამლოცველოები დელფოსა და ოლიმპზე.

მოპოვებული მასალა საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს სამშენებლო საქმე, სამხედრო ტექნიკა, ოქროჭედური, კერამიკული და საფეიქრო ხელობები და ძველი კოლხეთის ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან.

• • •

სურათებზე: მხატვარ-არქიტექტორი ბაადურ მჭედლიშვილი (მარცხნივ) და ექსპედიციის წევრი არქიტექტორი შადიმან ყიფშიძე სამლოცველოს კედლის აზომვის დროს; ვანის ნიკე — გამარჯვების ქალღმერთი; გათხრების დროს აღმოჩენილი ბრინჯაოს თავები, (მიეკუთვნება II საუკუნეს ძვ. წელთაღრიცხვით).

ფოტო ი. ჯოხონელიძისა.







[E-10] 48.16/102

△ მუშვიდობით, მეხიკო △ საფეხბურთო მარათონის ფინიში △ გოჩა გავაშელის ოქროს ბუცი △ მეტრეველი... უმედლოდ △ ნანა თუ ალა? △ ონნა ემზადება △ ყოჩაღ, ჰაბუკებო!

სპორტული მიმოხილვა

დამთავრდა მეხიკოს ბატალიები. ქართველმა სპორტსმენებმა ორი ოქროს, ორი ვერცხლის, ორი ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს. გარდა ამისა, სამმა მათგანმა მეოთხე საპატიო ადგილიც დაიკავა. ამრიგად, საქართველოს წარგზავნილებმა 36 ქულა დააგროვეს. თუ გადავხედავთ ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნების სპორტსმენთა ქულების მარაგს და შევადგენთ ცხრილს, აღმოჩნდება, რომ ქართველმა ოლიმპიელებმა 36 ქულით ოლიმპიადის მონაწილე 51 ქვეყანას შორის 22-ე ადგილი დაიკავეს და ქულების საერთო რაოდენობით გაუსწრეს ისეთ ქვეყნებს, როგორიც არიან ავსტრია, ბრაზილია, საბერძნეთი, ესპანეთი, არგენტინა, ინდოეთი და სხვ.

ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ჩვენმა ფალავანმა რომან რურუამ, რომელმაც ყველა შეხვედრა ტრიუმფალურად ჩაატარა ოლიმპიურ ხალიჩაზე. ჩვენი პროგნოზები „გადაჭარბებით გაანაღდა“ შტანგისტმა დიტო შანიძემ. ქვეშსუბუქ წონაში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი სპორტსმენები გამოდიოდნენ, თბილისელმა ძალოსანმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა. სამჭიდში მისი შედეგია 387 კილოგრამი. ეს ჩვენი თანამემამულის დიდი წარმატებაა, მაგრამ იგი კვარცხლბეკზე მაინც მოღუშული შემდგარა და უთქვამს, ცუდად გამოვედი, შემეძლო 395 კილოგრამი დამეძლიაო.

„დასანანი ვერცხლი“ მოიპოვა მოჭიდავე შოთა ლომჰიძემ, მას არც ერთი შეხვედრა არ წაუგია, მაგრამ ორ შეხვედრაში ფრეს დასჯერდა და მეტი საჭიროო ქულებით მხოლოდ ვერცხლის მედალი მიიღო. ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა კალათბურთელი ზურაბ საკანდელიძე, რომელიც სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში გამოდიოდა. დასანანი დამარცხება განიცადეს ომარ ფხაკაძემ და შოთა ქველიაშვილმა, რომლებიც მხოლოდ მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ფეხბურთი. კიევის „დინამომ“, როგორც მოსალოდნელი იყო, წინასწარ გაინაღდა ჩემპიონობა. ჩემპიონატის ბოლო მატჩებს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა თბილისის დინამოელთათვის, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელები მაინც აღმავლობით იბრძოდნენ. მათ 3:2 დაამარცხეს მინსკელი დინამოელები, 1:0 მოუგეს ლენინგრადის „ზენიტს“, მოსკოვში დამარცხდნენ (0:1) „დინამო სთან“, ფრედ — 0:0 დაამთავრეს შეხვედრა კიევში წლევანდელ ჩემპიონთან. თბილისელთა საბოლოო შედეგი ასეთია: 16 მოგება, 13 ფრე, 9 წაგება; ბურთების შეფარდება 53:29; 45 ქულა, სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილი.

ქუთაისის „ტორპედო“ პრეტენდენტი გახდა. დანარჩენ შეხვედრებში სამივემ კიდევ რამდენიმე გოლი გაიტანა და საბოლოოდ 22-22 გოლით პრიზი ორმა ფორვარდმა უნდა გაინაწილოს. გოჩა გავაშელმა და ბ. აბდურაიმოვმა. სტრელცოვს 21 გატანილი გოლი აქვს.

ჩოგბურთი. თბილისში დამთავრდა სსრ კავშირის 36-ე ჩემპიონატი. ერთეულებში სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონებმა ალექსანდრე მეტრეველმა და გალინა ბაქშეევამ იოლად დათმეს თავიანთი გვირგვინები. ისინი მხოლოდ მეორე ადგილებით დაკმაყოფილდნენ. მეტრეველის დამარცხების მიზეზებზე ჯერჯერობით არავინ მსჯელობს, მაგრამ ფაქტია, რომ ალექსის ძველმა ტრავმამ გაუხსენა, და მან ჩემპიონატში მთელი ძალით ვერ ითამაშა, თუმცა ვაჟთა წყვილებში ლიხაჩოვთან ერთად პირველი ადგილი დაიკავა. შერეულ წყვილებშიც იგი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ამგვარად ჩვენი მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისათვის ნონასა და მოსკოველ ალა კუშნირს შორის სექტემბერში უნდა გამართულიყო, გადაიდო მომავალი წლის გაზაფხულისათვის. ახალი ცნობით, მატჩის პირველი ნახევარი თბილისში გაიმართება, მეორე — მოსკოვში.

ჭ. გორში დასასრულს უახლოვდება ვ. ჭარსელაძის სახელობის საჭადრაკო მემორიალი. ჭარსელაძის სახელი კარგად არის ცნობილი საჭადრაკო სამყაროსათვის. მან აღზარდა ახლანდელი მსოფლიოს ჩემპიონი ქალთა შორის ნონა გაფრინდაშვილი და სსრ კავშირის ჩემპიონი ნანა ალექსანდრია. ამ მემორიალში საქართველოს მოჭადრაკეებთან ერთად მონაწილეობენ მსოფლიოს ექსჩემპიონი, რიგელი დიდოსტატი მ. ტალი, გროსმაისტერი ე. გელერი და სხვ. ცხრა ტურის შემდეგ ლიდერობდნენ ტალი, გელერი, გაფრინდაშვილი და გურგენიძე.

კვლავ ფეხბურთზე. ქართველმა ჭაბუკმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს „იმედის თასი“. ამ პრიზისათვის იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები კოლექტივები. ფინალში საქართველოს ნაკრები შეხვდა რუსეთის ნაკრებს. ანგარიშით 4:2 გაიმარჯვეს ჩვენმა ფეხბურთელებმა.

გორის „დილას“ ფეხბურთელებმა, რომლებიც სსრ კავშირის „ბ“ კლასის პირველობაში მონაწილეობენ, პირველი ადგილი დაიკავეს საქართველოს ზონაში და უმაღლესი ლიგის მეორე ჯგუფში გადასასვლელად 28 ნოემბერს კისლოვოდსკში შეხვდებიან სომხეთის ზონაში გამარჯვებულ კოლექტივს. ამჟამად უმაღლესი ლიგის მეორე ჯგუფში საქართველოდან მონაწილეობენ: ტყიბულის „მეშახტე“, ბათუმის „დინამო“ და თბილისის „ლოკომოტივი“. გორის „დილა“ წარმატების შემთხვევაში ჩვენი მეოთხე გუნდი იქნება უმაღლესი ლიგის მეორე ჯგუფში.

მეცხრამეტე ადგილზეა. უმაღლესი ლიგა დატოვა კიროვაბადის „დინამომ“. მის მაგივრად მომავალ სეზონში ითამაშებს სვერდლოვსკის „ურალმაში“, რომელმაც დაძაბუნებულ ბრძოლაში (ოთხი გუნდის ტურნირში) მოიპოვა ეს უფლება.

საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა შორის. ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურის წინ ყველაზე მეტი ბურთი ჰქონდათ გატანილი ტაშკენტელ ბ. აბდურაიმოვსა და მოსკოვის „ტორპედოს“ ცენტრფორვარდს ე. სტრელცოვს — 19-19 გოლი. 15 გატანილი ბურთით მესამე ადგილზე იყო თბილისელი გოჩა გავაშელი. და აი კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ შეხვედრაში გავაშელმა 5 გოლი გაიტანა (თბილისელებმა ეს შეხვედრა 7:2 მოიგეს) და გაიმეორა ი. დათუნაშვილის რეკორდი. სამივე ფორვარდი სეზონის საუკეთესო ბომბარდირის პრიზის რეალური ნი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ 1963-65 წლებში გამარჯვებული ესტონელი თ. ლეიუსი და მისი თანამემამულე გოგონა ტ. კივი.

ჰაღრაკი. ვინ გახდება სსრ კავშირის 1968 წლის ჩემპიონი ქალთა შორის? ამ კითხვას ჯერჯერობით ვერ უპასუხა აშხაბადში გამართულმა ქალთა ჩემპიონატმა. აქ 13,5-13,5 ქულით პირველი მეორე ადგილები გაიყვეს ნანა ალექსანდრიამ და ალა ჩაიკოვსკაიამ. დამატებით მატჩში, რომელიც 28 ნოემბერს დაიწყება, გადაწყდება ჩემპიონის ბედი.

ნანამ გაახარა გულშემატკივრები შესანიშნავი თამაშით. 12 მოგება, 3 ყაიმი და ოთხი წაგება, ასეთია მისი შედეგი. ახლა ახალგაზრდა მოჭადრაკე თავის მწვრთნელთან ბუხუტი გურგენიძესთან ერთად გადამწყვეტი მატჩისათვის ემზადება.

საბრძოლო მზადებაშია აგრეთვე მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. მატჩი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისათვის ნონასა და მოსკოველ ალა კუშნირს შორის სექტემბერში უნდა გამართულიყო, გადაიდო მომავალი წლის გაზაფხულისათვის. ახალი ცნობით, მატჩის პირველი ნახევარი თბილისში გაიმართება, მეორე — მოსკოვში.

ჭ. გორში დასასრულს უახლოვდება ვ. ჭარსელაძის სახელობის საჭადრაკო მემორიალი. ჭარსელაძის სახელი კარგად არის ცნობილი საჭადრაკო სამყაროსათვის. მან აღზარდა ახლანდელი მსოფლიოს ჩემპიონი ქალთა შორის ნონა გაფრინდაშვილი და სსრ კავშირის ჩემპიონი ნანა ალექსანდრია. ამ მემორიალში საქართველოს მოჭადრაკეებთან ერთად მონაწილეობენ მსოფლიოს ექსჩემპიონი, რიგელი დიდოსტატი მ. ტალი, გროსმაისტერი ე. გელერი და სხვ. ცხრა ტურის შემდეგ ლიდერობდნენ ტალი, გელერი, გაფრინდაშვილი და გურგენიძე.

კვლავ ფეხბურთზე. ქართველმა ჭაბუკმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს „იმედის თასი“. ამ პრიზისათვის იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები კოლექტივები. ფინალში საქართველოს ნაკრები შეხვდა რუსეთის ნაკრებს. ანგარიშით 4:2 გაიმარჯვეს ჩვენმა ფეხბურთელებმა.

გორის „დილას“ ფეხბურთელებმა, რომლებიც სსრ კავშირის „ბ“ კლასის პირველობაში მონაწილეობენ, პირველი ადგილი დაიკავეს საქართველოს ზონაში და უმაღლესი ლიგის მეორე ჯგუფში გადასასვლელად 28 ნოემბერს კისლოვოდსკში შეხვდებიან სომხეთის ზონაში გამარჯვებულ კოლექტივს. ამჟამად უმაღლესი ლიგის მეორე ჯგუფში საქართველოდან მონაწილეობენ: ტყიბულის „მეშახტე“, ბათუმის „დინამო“ და თბილისის „ლოკომოტივი“. გორის „დილა“ წარმატების შემთხვევაში ჩვენი მეოთხე გუნდი იქნება უმაღლესი ლიგის მეორე ჯგუფში.

შენ დაგეძებენ, ქართველო!



მიხეილ ევგენის-ძე (გუგუნას-ძე) მენთეშაშვილს, დაბადებულს 1907 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში, ეძებენ მეუღლე — თამარ პავლეს ასული და შვილები — იზოლდა და გივი მენთეშაშვილები.



შოთა ალექსის-ძე რევაზიშვილს, დაბადებულს 1919 წელს სოფ. უჯარმაში, ეძებენ მშობლები: დედა — ნინო ედიშერის ასული უტიაშვილი, მამა — ალექსი ილიას-ძე რევაზიშვილი.



ვლადიმერ გიორგის-ძე სამხარაძეს, დაბადებულს 1902 წელს ზესტაფონის რაიონის სოფ. განთიადში, ეძებენ: მეუღლე — ოლია, შვილები — ნინა და ნათელა სამხარაძეები.

* * *

სურათებზე: ზემოდან — შოთა რევაზიშვილი, მიხეილ მენთეშაშვილი, ვლადიმერ სამხარაძე.

ხალხს უთქვამს

- ვინც ხის ძირში დაისვენა — ხის დამრგველიც გაიხსენაო.
- ვინც თავი შეირცხვინაო — სოფელიც შეარცხვინაო.
- ზღვაზე ხიდი იმან გადო, ვინც ქვეყნისთვის თავი დადო.
- კაცო, ნუ იზამ მტეროგას — გამოაკლდები ეროგას.
- იგი კაცი რა კაცია, ვინც უქნარა ზარმაცია.
- მაშინ ვარგოგას თვალმახარა, როცა გულმაც გაიხარა.
- რკინას ცეცხლში გამოწვრთიან, კაცსა ჭირში გამოცდიან.
- უქნარა კაცის ტარება, მიწასაც დაეზარება.
- ხეც არ გახმება დარგული სასოფლო შარა-გზაზედა.

შეკრიბა დ. გონაშვილმა.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: 227 მეტრის საშუალო ტალღაზე ანუ 1322 კილოჰერცის სიხშირეზე, 30,83 მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 9730 კილოჰერცის სიხშირეზე.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით 50,59 მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 5930 კილოჰერცის სიხშირეზე.

მოუსმინეთ სსრ კავშირის ხმას

სარედაქციო კოლეგია

ხმა საბჭოთა კავშირის

თბილისი, გ. ათონელის, ქ. № 25.